სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ათინათი

საანბანე

ათინათი

საანბანე

2026

პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ბერიკაშვილი

მეთოდური ხელმძღვანელი
ნინო შარაშენიძე

რედაქტორი
მაია მღებრიშვილი

ილუსტრატორი და დიზაინერი
მარიამ ელიზბარაშვილი

ავტორები:

ნინო შარაშენიძე
თეიმურაზ შალამბერიძე
ლალი ასლამაზიშვილი-დალაქიშვილი
იზა გვირჯიშვილი
გიორგი ჭაუჭიძე
მაია გელაშვილი
ნინო ბუთურიშვილი
ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ცაულინა მალაზონია
ნანა არაბული
ლელა ბუთურიშვილი

წინასიტყვაობა

ქართული ენის ოთხდონიანი სახელმძღვანელოსთვის (საანბანე, A1, A2, B1)

ენის შესწავლა მხოლოდ ახალი სიტყვებისა და გრამატიკული წესების ათვისება არ არის — ეს არის მოგზაურობა ახალ კულტურაში. სწორედ ამ იდეას ეფუძნება ქართული ენის შესასწავლი ოთხდონიანი სახელმძღვანელო „ათინათი“ (საანბანე, A1, A2, B1), რომელიც ქართული ენის შემსწავლელთათვის სწავლების თანამედროვე, კომუნიკაციური და პრაქტიკული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შეიქმნა.

წინამდებარე სასწავლო კომპლექტი (სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული) მიზნად ისახავს ენის ათვისების პროცესი გახადოს მაქსიმალურად ინტერაქტიული, თანმიმდევრული და რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებული, რათა შემსწავლელებს გაუადვილდეთ ყოველდღიური კომუნიკაცია და ადგილობრივ სოციოკულტურულ გარემოში ინტეგრაცია.

სახელმძღვანელოში თითოეული თემა კომპლექსურად არის სტრუქტურირებული და დამუშავებული სპეციალური რუბრიკების მეშვეობით. ეს რუბრიკები ფარავს ენობრივი კომპეტენციის ყველა ძირითად მიმართულებას -მოსმენას, კითხვას, ლაპარაკსა და წერას, აგრეთვე ლექსიკასა და გრამატიკას. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მასალის მრავალმხრივ გააზრებას: ენის შემსწავლელები ჯერ ეცნობიან თემატურ ლექსიკასა და ტექსტებს, შემდეგ კი სხვადასხვა რუბრიკის დახმარებით მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ, საკომუნიკაციო სიტუაციებში იყენებენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო საიმედო გზამკვლევი გახდება როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, რომლებიც ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად პირველ ნაბიჯებს დგამენ.

გისურვებთ ნაყოფიერ და საინტერესო სასწავლო პროცესს!

სარჩევი

თემა 1. 6

თემა 2. 10

თემა 3. 42

თემა 4. 70

თემა 5. 83

თემა 6. 94

თემა 1

1. რომელია ზედმეტი?

კომპიუტერი



☐

პრინტერი



☐

ტელეფონი



☐

პასპორტი



☐

2. რომელია ზედმეტი?

ოპერა



☐

ტელეფონი



☐

ორკესტრი



☐

ბალეტი



☐

3. რომელია ზედმეტი?

ტაქსი



☐

ინტერნეტი



☐

ტრაქტორი



☐

ავტომობილი



☐

4. რომელია ზედმეტი?

ფოტოკამერა



☐

ტაქსი



☐

ვიდეოკამერა



☐

ფოტო



☐

5. რომელია შემდეგი?

ტაქსი



☐

ავტომობილი



☐

კომბაინი



☐

ტრაქტორი

☐

ა



ბ



გ



დ



6. დააკავშირეთ:













ტელეფონი

ოპერა

ვიდეოკამერა

ტრაქტორი

ტაქსი

პასპორტი

მოისმინეთ და გაიმეორეთ:



ჩაი



შაქარი



ლავაში



შარვალი



პიჯაკი



პალტო



საპონი



ხალიჩა



საათი



იატაკი



მანდარინი



ჰალვა

? დაასახელეთ, რომელია ზედმეტი?


☐


☐


☐


☐


☐


☐


☐


☐

თემა 2

ქართულში 33 ასო-ბგერაა - 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო
პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ

ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ
წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ		

ა ე ი ო უ

თ ს მ ნ რ დ ჩ

1. მოისმინეთ და გამოთქვით სწორად ბგერები:

(ა, ე, ი, ო, უ, თ)

2. დააკვირდით და დაწერეთ:

ა

ა ა

ა ა











3. მოისმინეთ და გაიმეორეთ მარცვლები:

თა თე თი თო თუ

4. მოძებნეთ სიტყვებში ასო ა და შემოხაზეთ:

[ა]ტამი, მანდარინი; მატარებელი; მანქანა, ადამიანი.

5. მოძებნეთ სიტყვებში ასო ი და შემოხაზეთ:

[ი]ა; იადონი; ინდოეთი, ისტორია; ინგლისური.

6. გახაზეთ ასო უ:

უთო, სურო, სუნამო, ურემი, საუბარი.

7. გახაზეთ სიტყვებში ასო ო:

ოთახი, ოპერატორი, სოფელი, დოლი, ოფოფი.

8. შემოხაზეთ ის სიტყვები, რომლებიც იწყება ასო ე - ზე:

ეზო, ენძელა, გზა, რეზო, ერთი, ვაშლი, კვირა.

9. შემოხაზეთ ის სიტყვები, რომლებიც იწყება ასო თ-ზე :

თეა, ერთი, თათი, უთო, თითი, თითა, ათი.

10. დააკვირდით სურათებს. მოისმინეთ და გაიმეორეთ:



ია



თითი



თათი



თუთა



თეა



თათია



თათა



ათი



უთო

11. ჩასვით გამოტოვებული ასო:

თ	...	თ	ა
თ	ი	...	ი

თ	უ	თ	...
...	ა	თ	ი

...	თ	ო
თ	...	ა

12. დააკვირდით სურათს და წაიკითხეთ:



აი ია



აი თითი

13. წაიკითხეთ და დაწერეთ სიტყვები:

აი ია.

ათი ია.

აი თითი

ათი თითი

აი თეა

აი თათი.

აი თათია.

ათი თუთა.

აი უთო.

14. დაუწერეთ სურათებს შესაბამისი სიტყვები და წაიკითხეთ:







....







....







....

15. შეადგინეთ მოცემული ასოებით ნაცნობი სიტყვები:

ნიმუში: ა თ ი თ - თითა

1. უ თ თ ა
2. თ ა ი თ
3. უ ო თ
4. ი ა თ
5. ა თ ა თ ი
6. თ ი ი თ

16. წაიკითხეთ:

ია. აი ია. ათი ია. აი ათი ია.

თათია. აი თათია.

უთო. აი უთო. ათი უთო. აი ათი უთო.

თითი. აი თითი. ათი თითი. აი ათი თითი.

თათი. აი თათი. ათი თათი. აი ათი თათი.

თითა. აი თითა. ათი თითა. აი ათი თითა.

თუთა. აი თუთა. ათი თუთა. აი ათი თუთა.

17. გახაზეთ მოსმენილი სიტყვები:

ია. აი ია. ათი ია. აი ათი ია.

უთო. აი უთო. ათი უთო. აი ათი უთო.

თითი. აი თითი. ათი თითი. აი ათი თითი.

თათი. აი თათი. ათი თათი. აი ათი თათი.

18. დაწერეთ კარნახით:

თითა. აი თითა. ათი თითა. აი ათი თითა.

თუთა. აი თუთა. ათი თუთა. აი ათი თუთა.

.....

.....

.....

.....

19. მოისმინეთ და გამოთქვით ბგერები:

ს ძ ნ

20. დააკვირდით და დაწერეთ:

ს



ს ს

ძ



ძ ძ

წ



წ წ

21. დააკვირდით, წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:



საათი



თასი



სოსო



მთა



მამა



ნემსი



თონე



თმა

22. მოძებნეთ სიტყვებში ს, მ, ნ ასოები და შემოხაზეთ:

მანანა	მარანი	ანა	ასმათი	ასანთი
ნანა	სახლი	სასმელი	მაია	სამი

23. დააკვირდით სურათებს და შეადგინეთ სიტყვები ასოებისგან:

თ ა ს ა ი .....



მ ი ს ნ ე .....



ი თ ა ს .....



ა მ თ .....



ნეოთ .....



24. გამოყავით სიტყვები და წაიკითხეთ:

თითააისისოსოსსაათიმთანანათეათუთაუთოიაათი

25. გაანაწილეთ სიტყვები ცხრილში:

სამი სოსო მაია ნინო მე ნანა ნათია სუსანა მანანა

ს	ნ	მ
სამი	ნანა	მე

26. ჩასვით გამოტოვებული ასოები:



თ.....თი



სო.....ო



.....უთა



.....აათი



უ.....ო

27. დააკვირდით!



ეს საათი



ის საათი

28. დაწერეთ ფრაზები სქემის მიხედვით:



ეს საათი.











29. წაიკითხეთ:

		საათი სოსო თასი ეს ის აი სოსო. აი საათი. ეს სოსოა. ის თასია. ათი საათი. თათიას საათი. სოსოს თასი. ეს სოსოს თასია. ის თათიას საათია.
		მთა მამა მაია თმა სამი თემა თემო მე სამი საათი. ათი თემა. თომას თმა. აი მთა. აი მაია. ეს მამაა. ეს მაიას მამაა. ის სამი მთაა.
		ნანა ნინო ნონა მანანა თონე აი ნანა. ეს თონეა. ის ნინოა. ეს ნანას თონეა. ის ნინოს საათია.

30. მოძებნეთ ცხრილში სიტყვები:

უთო თუთა ნემსი თონე ნინო ია საათი მამა მათე მთა

წ	ჭ	ლ	თ	ზ	დ	ლ	ხ	ჯ
ნ	ი	ნ	ო	ტ	რ	ზ	ე	შ
პ	დ	შ	ნ	ე	მ	ს	ი	შ
ტ	ე	თ	ე	ი	ს	ს	ჟ	ხ
მ	ჯ	უ	ჯ	მ	მ	ა	თ	ე
ძ	ფ	თ	უ	თ	ა	თ	ზ	ე
ც	მ	ო	რ	ს	ს	ი	ე	პ

31. წაიკითხეთ ასო-ბგერები:

რ დ ჩ

32. გაიმეორეთ სიტყვები, ივარჯიშეთ წარმოთქმაში:



თარო



დანა



ჩანთა



სურათი



მანდარინი



ერთი



დომინო



თერმოსი



ჩაი



ჩემოდანი



დრო

№

ნომერი

33. დააკვირდით ასოების მოხაზულობას სავარჯიშოში და გამოწერეთ:

რ



რ რ

ლ



ლ ლ

ჩ



ჩ ჩ

34. ა) შეარჩიეთ სიტყვები, რომლებიც იწყება რ დ ჩ ბგერებით და ხაზი გაუსვით:

თარო ჩინარა დრო უჩა ჩანთა მამა ჩაი დოდო სიმინდი ნომერი რაინდი ამინდი დედა და დომინო ჩემოდანი.

ბ) დააჯგუფეთ სიტყვები ცხრილში:

რ	დ	ჩ
რადიო	დრო	ჩაი

35. აღადგინეთ გამოტოვებული ასოები:

	ა	ი						
მ	ა	ნ		ა		ი	ნ	ი

დ		ო		
	ა	ნ	თ	ა

	ო	მ	ი	ნ	ო
ნ	ო	მ	ე		ი

თ	ა		ო

ს	უ		ა	თ	ი

	ე	მ	ო		ა	ნ	ი

36. დააკვირდით სქემას და შადგინეთ მინიდიალოგი სურათების მიხედვით.დიალოგი წაიკითხეთ წყვილებში:





ნიმუში: - ეს რა არის?

- ეს არის უთო.



- ეს არის ანა?

- ეს არის ანა.



- .....?

- ..... .



- .....?

- ..... .



- .....?

- ..... .



- .....?

- ..... .

37. დაწერეთ და წაიკითხეთ:

ა) რა არის ეს?



ეს არის დომინო.

ეს არის ჩანთა.



ეს არის თერმოსი.



ეს არის სურათი.



ეს არის მანდარინი.



ბ) შეადგინეთ მსგავსი ფრაზები შესწავლილი სიტყვებისგან და მიუწერეთ შესაბამის სურათს:

ნიმუში: რა არის ეს? ეს არის ჩანთა.



.....

1

.....



.....

№

.....



.....

გ) დააკვირდით ნიმუშს და დაწერეთ მსგავსი ფრაზები:

1. ეს არის თარო?



არა, ეს არ არის თარო, ეს არის ჩანთა.

ეს არის ნომერი?



.....

ეს არის ჩაი?



.....

ეს არის სიმინდი?



.....

38. დააკვირდით და ნიმუშის მიხედვით შეცვალეთ შემოთავაზებული ფრაზები:

აი თერმოსი = ეს არის თერმოსი = ეს ~~არის~~ = თერმოსია

= ეს თერმოსია.

ნიმუში: ეს არის ჩანთა - ეს ჩანთაა.

1. ეს არის დედა .....
2. ეს არის დომინო .....
3. ეს არის დანა .....
4. ეს არის თარო.....
5. ეს არის ჩემოდანი .....
6. ეს არის დაჩი .....
7. ეს არის ანა .....

39. ა) წაიკითხეთ:

რ		ეს არის რომანი. ეს არის ნია. ნია რომანის დაა. ეს ნიას ჩანთაა.
ჩ		ჩემოდანი. აი ჩემოდანი. ეს ჩემოდანია. ეს ანას ჩემოდანია. ის ნათიას ჩემოდანია.
დ		დედა. აი აჩის დედა.
		ეს დედას საათია. დედას საათი დიდია.

ბ) წაიკითხეთ დიალოგები წყვილებში:

- ეს რა არის?

- ეს არის თასი.

- ეს თასი ანასია?

- არა, ეს თასი სოსოსია. ანა სოსოს დაა.

- სოსოს და დიდია?

- არა, სოსოს და არ არის დიდი.

- რა არის ეს?

- ეს დანაა.

- ეს დანა აჩისია?

- არა, ეს რომანის დანაა. რომანი დიდია.

40. დაალაგეთ არეული ასოები და მიღებული სიტყვა მიუწერეთ გვერდით:

ნ ო დ ო მ ი .....



რ თ ა ო .....



ნ დ ა მ ა ნ ი რ ი .....



ნ ე რ ო მ ი .....

№

ო რ დ .....



დ ა დ ე .....



ი თ ე რ .....



41. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:



ეს არის დაჩი.



ეს არის დაჩის დედა.



42. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

ეს არის დაჩის დედა. ეს დაჩის დედაა.

ეს არის დაჩის მამა. .....

ეს არის დაჩის და. .....

ეს არის დაჩის სურათი. .....

ეს არის დაჩის თერმოსი. .....

43. დააკვირდით:



მე ვარ დაჩი.



ეს არის ჩემი და.



ეს არის მამაჩემი.



ეს არის დედაჩემი.



ეს არის ჩემი ჩემოდანი.

44. აღწერეთ და დაწერეთ ფრაზები:













ნიმუში: ეს არის ჩემოდანი. ეს არის ჩემი ჩემოდანი. ეს ჩემი ჩემოდანია.

.....

.....

.....

.....

.....

45. შეადგინეთ დიალოგი შემოთავაზებული ფრაზების გამოყენებით:

ეს დედასია? ეს არის ჩანთა. ის ჩემოდანი დედასია. ეს ჩანთა ჩემია.

ეს რა არის? არა, ეს არ არის დედასი, ეს ჩემია? ის?

ის ჩემოდანი დედასია.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

დააკვირდით!

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო
პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ
ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ
წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ		

ბ გ ვ ზ კ ლ ქ შ ხ

1. დააკვირდით და დაწერეთ:



















2. იპოვეთ, წაიკითხეთ და შემოხაზეთ ასო-ბგერები:
ბ, გ, ხ, ზ.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ
მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ
ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ

3. მოძებნეთ სიტყვებში ასო ბ და შემოხაზეთ:

ბებია; ბაბუა; კაბა; კიბე.

4. მოძებნეთ სიტყვებში ასო ხ და შემოხაზეთ:

ხე; ოთახი; ოთხი; ხილი.

5. მოძებნეთ სიტყვებში ასო ზ და შემოხაზეთ:

ეზო; ზაზა; ბაზარი; ზევით.

6. მოძებნეთ სიტყვებში ასო გ და შემოხაზეთ:

გოგო; გაზაფხული; გალია; გული.

7. გახაზეთ სიტყვებში ასოები: ბ, გ, ხ, ზ და წაიკითხეთ:

ბებია; გოგო; სახლი; ზებრა; ოთახი; ბაბუა; კაბა; ხე; ხუთი; ეზო.

8. მოისმინეთ, წაიკითხეთ და გადაწერეთ:



ბებია

.....



ბაბუა

.....



გოგო

.....



ოთახი

.....



ხუთი

.....



ხე

.....



ეზო

.....



ოთხი

.....

9. გაანაწილეთ სიტყვები ცხრილში:

ბაბუა გოგო ხე ბებია ხუთი ზებრა

ბ	გ	ხ	ზ .....

10. დააკავშირეთ და წაიკითხეთ:



ხე



ოთახი



ბაბუა



ხუთი



ეზო



ოთხი



ბებია



გოგო

11. წაიკითხეთ:



აი ბებია. ეს ბებიაა.



ეს ჩემი ბებიაა.



აი ბაბუა. ეს ბაბუაა.



ეს ჩემი ბაბუა არის.



აი, ჩემი ბებია და ბაბუა.



აი ხე. ეს არის ხე.



აი, ხუთი ხე.



აი გოგო.
ეს არის გოგო.



ეს არის დიდი გოგო.
ეს გოგო არის მარიამი.



აი ოთახი.
ეს დიდი ოთახია.



ეს ჩემი ოთახია.



აი ეზო. ეს ეზოა.
ეს ჩემი ეზოა.

12. დაწერეთ:

აი ბებია. ეს ბებიაა. ეს ჩემი ბებიაა.

აი ბაბუა. ეს არის ჩემი ბაბუა.

აი, ჩემი ეზო. ეს არის დიდი ეზო.

აი, გოგო. ეს არის გოგო. ეს გოგო არის მარიამი.

ეს არის ოთახი. ეს დიდი ოთახი არის ჩემი.

ეს დიდი ხეა. აი, ხუთი ხე.

დააკვირდით!



დიახ

ეს გოგოა? დიახ, ეს არის გოგო.



არა

ეს ბებიაა? არა, ეს არ არის ბებია.
ეს არის გოგო.

13. დაწერეთ და წაიკითხეთ:

- ეს რა არის? - ეს არის	
- ეს ოთხი ხეა? - არა, ეს არის	
- ეს დიდი ოთახია? - დიახ, ეს	

14. დაწერეთ კარნახით:

ეს არის გოგო. ეს გოგო მარიამია. ის არის მარიამის ბებია.ეს არის მარიამის ოთახი. ეს დიდი ოთახია.ეს ეზოა. ეზოში არის ხუთი ხე.

.....

.....

.....

.....

.....

.....

15. გახაზეთ სიტყვებში ასო-ბგერები ვ კ ლ შ ქ :

ვაშლი ქალაქი კალამი ავოკადო შაქარი

16. მოძებნეთ ცხრილში და შემოხაზეთ:

ვ კ ლ შ ქ

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო
პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ
ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ
წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ		

17. ვისწავლოთ სიტყვები:



ვაშლი



ავოკადო



შაქარი



შოკოლადი



ბალი



გლობუსი



საქართველო



დედაქალაქი



ქოლგა



დათვი

1	2	3	4	5	6	7	8
ერთი	ორი	სამი	ოთხი	ხუთი	ექვსი	შვიდი	რვა

18. დააკავშირეთ ფოტო და სიტყვა ნიმუშის მიხედვით:



ქოლგა



რვეული



შაქარი



გლობუსი



ავოკადო



საქართველო



დათვი



ბალი

19. დააკავშირეთ სიტყვა და რიცხვი:

6	ერთი
3	ორი
5	სამი
7	ოთხი
8	ხუთი
2	ექვსი
4	შვიდი
1	რვა

20. ასო-ბგერები დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ ფოტოზე გამოსახული სიტყვები:



ლ	ს	ე	ო	ა	ა	რ	თ	ვ	ქ



ვ	ო	დ	ა	კ	ო	ა



ო	ქ	გ	ა	კ



ბ	ო	ს	უ	კ	გ	ი



თ	ა	დ	ი	ვ



შ	ი	კ	ა	ვ



უ	ხ	ი	თ



ვ	ე	ი	უ	რ	კ



ვ	რ	ა

21. ა) გახაზეთ ქ ასო-ბგერაზე დაწყებული სიტყვები:

ქლიავი, ქერი, შაქარი, ქოლგა, ქალაქი, დედაქალაქი, ექვსი.

ბ) გახაზეთ სიტყვა, რომელშიც არის ასო-ბგერა ლ:

თბილისი, რვეული, შვიდი, ერთი, გლობუსი, ვაშლი.

გ) გახაზეთ სიტყვა, რომელშიც არის ასო-ბგერა კ:

ერთი, კაბა, ავოკადო, ხუთი, ნიკა, კახა, საქართველო.

წერა

22. დააკვირდით და დაწერეთ ასო-ბგერები:

ჳ ჳ ჳ

ჳ ჳ



















23. წაიკითხეთ და დაწერეთ:



ვაშლი

.....



ავოკადო

.....



შაქარი

.....



კაბა

.....



შოკოლადი

.....



რვეული

.....



ქოლგა

.....



დათვი

.....



ბებია

.....



ბაბუა

.....



გოგო

.....



ბალი

.....



გლობუსი

.....



საქართველო

.....



დედაქალაქი

.....



მანქანა

.....

24. წაიკითხეთ და დაწერეთ:

1	2	3	4
ერთი	ორი	სამი	ოთხი
.....	.....	.....	.....
5	**6**	**7**	**8**
ხუთი	ექვსი	შვიდი	რვა
.....	.....	.....	.....

25. სიტყვებში ჩასვით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ:

ვ შ ქ ლ კ

ა....ო....ადო,

შა....არი,

....ოლგა,

ვა....ლი,

....არვალი,

მან....ანა

გ....ობუსი

ქალა....ი

სა....ართველო

დათ....ი

შო....ოლადი

26. გაანაწილეთ სიტყვები ცხრილში:

ვაშლი, შოკოლადი, ბებია, საქართველო, ლეილა, ლია, ქალაქი, დედაქალაქი, შარვალი, კაბა, შაქარი, ქოლგა, ბაბუა, გლობუსი, ბალი, მანქანა.

ვ....	კ....	ლ....	შ....	ქ....	ბ....	ს....	გ....
		ლია					

27. ფოტოებს მიუწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:



ეს არის შოკოლადი



.....



.....



.....



.....



.....



.....

7

.....

4

.....



.....



.....



.....

28. შეავსეთ კროსვორდი:

შოკოლადი, დათვი, ვაშლი, მსხალი, შაქარი, შარვალი, დედაქალაქი, ავოკადო, ბებია, ქოლგა.



29. დაბეჭდეთ ქართული შრიფტით (გამოიყენეთ კომპიუტერი ან ტელეფონი):

ვაშლი, შოკოლადი, ავოკადო, ბებია,

საქართველო, ლეილა, ლია, ქალაქი, მანქანა,

დედაქალაქი, შარვალი, კაბა, დათვი,

შაქარი, ქოლგა, ბაბუა, გლობუსი, ბალი.

30. დააკვირდით!

სად არის ... ?



აქ



იქ

31. წაიკითხეთ!



ეს არის ქოლგა. ქოლგა არის აქ.



ის არის მანქანა. მანქანა არის იქ.



ეს რვეულია. ეს არის რვეული.
ეს სამი რვეულია.
სამი რვეული არის აქ.



ეს არის ქალაქი?
დიახ, ეს არის ქალაქი.
ეს არის საქართველოს დედაქალაქი.



ეს არის გოგო.
ეს სამი გოგოა.



ეს არის შოკოლადი.
ეს არ არის შაქარი.



ეს არის ავოკადო?
დიახ, ეს ავოკადოა.
ეს არ არის მანდარინი.



ეს შაქარია.
დიახ, ეს არის შაქარი.
ეს არ არის ვაშლი.



ეს არის დათვი.
ეს არის დიდი დათვი.



ეს არის ბებია.
ეს ბებიაა.
ეს არ არის ბაბუა.

32. დააკვირდით და შემდეგ წაიკითხეთ წინადადებები:

ვინ?	რა?
ვინ არის ეს?	**რა არის ეს?**
ეს არის ბებია.	ეს არის გლობუსი







- რა არის ეს?
- ეს არის კაბა.



- ვინ არის ეს?
- ეს არის გოგო.



- რა არის ეს?
- ეს არის ვაშლი.



- ვინ არის ეს?
- ეს არის ლეილა.



- რა არის ეს?
- ეს არის ბალი.

33. დააკვირდით და წაიკითხეთ:

რამდენი?

1	2	3	4	5	6	7	8
ერთი	ორი	სამი	ოთხი	ხუთი	ექვსი	შვიდი	რვა

34. წაიკითხეთ, რამდენია?



3 კაბა - სამი კაბა



4 შარვალი



5 გოგო



2 ბალი



3 ვაშლი



8 ავოკადო

35. წაიკითხეთ ტექსტი:

მე ვარ ლეილა. მე ვარ გოგო. ეს ჩემი სახლია.

ეს დედაჩემია. ეს არის მამაჩემი.

ეს არის ჩემი ბებია. ეს არის ბაბუაჩემი.

ეს არის ნიკა. ეს არის ლუკა.



36. წაიკითხეთ დიალოგი:



- ეს საქართველოა?

- დიახ, ეს არის საქართველო.

- ეს თბილისია?

- დიახ, ეს არის თბილისი.

-თბილისი ქალაქია?

- თბილისი არის დედაქალაქი.

- თბილისი შენი ქალაქია?

- თბილისი ჩვენი ქალაქია.

თბილისი დიდი ქალაქია?

- დიახ, თბილისი დიდი ქალაქია.

37. წაიკითხეთ წინადადებები:

მე ვარ ლეილა.

ეს არის ლუკა.

ეს ჩემი სახლია.

ეს დედაჩემია.

ეს არის საქართველო.

თბილისი დიდი ქალაქია.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

ეს არის მამაჩემი.

ეს არის ბებია.

ეს არის ბაბუა.

ეს არის ნიკა.

ეს არის ლუკა.

38. ისაუბრეთ ილუსტრაციებზე დაყრდნობით.
გამოიყენეთ - ეს არის/ეს არ არის/დიახ/არა:











39. ფოტოების მიხედვით დაწერეთ დიალოგი:

ნიმუში: ვინ არის ეს? ეს არის გოგო.

აქ რამდენი გოგოა?

აქ არის 5 გოგო.













პ ჟ ტ ფ ყ

1. დააკვირდით:

2. შემოხაზეთ სწორი მიმართულებით:

პ ჟ ტ ფ ყ

3. დააკვირდით, წაიკითხეთ, დაიმახსოვრეთ:



პური



პეპელა



პინგვინი



პალტო



ჟოლო



ჟურნალი



ჟირაფი



ჟაკეტი



ტელეფონი



ტორტი



ტყე



ტბა



ფოთოლი



ფიფქი



ფული



ფანქარი



ყვავილი



ყველი



ყვითელი



ყავა

4. ა) ჩაწერეთ გამოტოვებული ასოები:

.....ური	.....ოლო	.....ელეფონი	.....ოთოლი	.....ვავილი
.....ე.....ელა	.....ურნალი	.....ორტი	.....ი.....ქი	.....ველი
.....ინგვინი	.....ირაფი	.....ყე	.....ული	.....ური
.....ალტო	.....აკეტი	.....ბა	.....ანქარი	.....ინული

ბ) ჩაწერეთ შესაბამის სვეტში სიტყვები:

პ	ჟ	ტ	ფ	ყ
				ყვავილი
	ჟურნალი			
		ტყე	ფული	
პალტო				

5. ა) ნახატებს მიუწერეთ შესაბამისი სიტყვები:



.....



.....



.....



.....






....

ბ) ასოები დაალაგეთ სიტყვებად:

ეპეპალ	პეპელა	**ფირაჟი**	.....
თოფოლი	.....	**ყტე**	.....
ლოჟო	.....	**ფქიფი**	.....
ყვალივი	.....		

6. წაიკითხეთ წინადადებები:



- ეს არის ფაფა.

ეს არ არის სუპი.



- ეს არის ყავა.

ეს არ არის ჩაი.



- ეს არის ტორტი.

ეს არ არის ნაყინი.



ეს პეპელაა?

- არა, ეს ფოთოლია.



- ეს ჟირაფია?

- არა, ეს ზებრაა.



- ეს ტბაა?

- არა, ეს მდინარეა.



- ეს ბანკის ოპერატორია?

- დიახ, ეს არის ბანკის ოპერატორი.



- ეს ოფისია?

- დიახ, ეს არის ოფისი.

7. ა) დააკვირდით, გაიაზრეთ:



მე მიყვარს ყავა.



მე არ მიყვარს ჩაი.

ბ) დაასახელეთ და ჩაწერეთ: - მიყვარს; - არ მიყვარს:















მე მიყვარს: .....

მე არ მიყვარს: .....

გ) უპასუხეთ შეკითხვებს:

ნიმუში: - შენ გიყვარს ტორტი? - დიახ, მე მიყვარს ტორტი/არა, მე არ მიყვარს ტორტი.

- შენ გიყვარს ყველი?.....

- შენ გიყვარს ფაფა? .....

- შენ გიყვარს ყავა?.....

- შენ გიყვარს ჟოლო?.....

- შენ გიყვარს ჩაი?.....

- შენ გიყვარს ახალი პური? .....

8. დააკვირდით - როგორი?



ძველი სახლი



ახალი სახლი



ძველი ქალაქი



ახალი ქალაქი

9. დააკავშირეთ:



ახალი პური



ყვითელი ფოთოლი



შავი ყავა



ახალი პალტო

გ) როგორი?

ახალი პური; ..... ყავა; ..... ფოთოლი;

..... პალტო.

10. ა) დააკვირდით - <u>რამდენი?</u>

1 - ერთი ✿

2 - ორი ✿ ✿

3 - სამი ✿ ✿ ✿

4 - ოთხი ✿ ✿ ✿ ✿

5 - ხუთი ✿ ✿ ✿ ✿ ✿

ბ) მიუწერეთ:







ორი ფოთოლი ....







....

11. ა) დააკვირდით - სად?



ფული



ჩანთა



ფული არის ჩანთა**<u>ში</u>**



ტელევიზორი



ოთახი



ტელევიზორი არის ოთახ**<u>ში</u>**

ბ) დააკვირდით, დაწერეთ:

რა? - ფული; სად? - ჩანთაში.

- სად არის ფული? - ფული არის ჩანთაში.

- რა არის ჩანთაში? - ჩანთაში არის ფული.

რა? - ტელევიზორი; სად? - ოთახში.

- სად არის ტელევიზორი? .....

- რა არის ოთახში? .....

12. ა) დააკვირდით, დაწერეთ: რა? სად?



რა? - თეატრი.

სად? - თეატრში.



რა? - სკოლა.

სად? - .....



რა? - კაფე.

სად? .....



რა? - ქუჩა

სად? -



რა? - ჟურნალი.

სად? - .....

ბ) დააკვირდით, დაწერეთ, წაიკითხეთ:

1. ჩვენ ვართ თეატრში (თეატრი).
1. ისინი არიან ..... (კაფე).
1. თქვენ ხართ ..... (სკოლა).
1. ტურისტი არის ..... (ქუჩა).
1. ინტერვიუ არის ..... (ჟურნალი).

გ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად არის ტურისტი? .....
2. სად არის ინტერვიუ? .....
3. სად ხართ თქვენ? .....
4. სად არიან ისინი? .....
5. სად ვართ ჩვენ? .....

13. ა) დააკვირდით - ვინ?/რა?



ვინ?



რა?

ბ) გაანაწილეთ სიტყვები ცხრილში: გოგო, პეპელა, და, ძმა, ყველი, ბებია, პაპა, ტელევიზორი, პინგვინი, ჟირაფი, ყავა, დედა, მამა, ფიფქი.

ვინ?	რა?
გოგო	პეპელა

ვისი? - ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი

ეს ვისია? (ეს ვისი არის?)

	- ეს მე ვარ . - ის ვისი ბებიაა? - ის ჩემი ბებიაა / ის არის ჩემი ბებია. - ეს დედაჩემია / ეს არის დედაჩემი. - ის მამაჩემია / ის არის მამაჩემი.
	- ეს ვისი ჩანთაა? - ეს ჩემი ძველი ჩანთაა. - ეს შენი ტელეფონია ? - დიახ, ეს ჩემი ტელეფონია. ჩემი ტელეფონი ახალია.



- ის ვისი ოფისია?

- ის ჩვენი ოფისია. ჩვენი ოფისი პატარაა.

- ეს ვისი კლასია?

- ეს თქვენი კლასია. თქვენი კლასი დიდია.

- ეს პატარა კლასი ვისია?

- ეს პატარა კლასი არის მათი .

- კლასში არის კომპიუტერი და სამი სკამი, ერთი დაფა, ერთი საათი.



დიდი კლასი



პატარა კლასი



ეს არის ქუჩა. ქუჩა ძველია. ქუჩა არის პატარა და ლამაზი. ქუჩაში არ არის მანქანები. ქუჩაში მხოლოდ ადამიანები არიან. მომწონს ასეთი ქუჩები.



ეს არის კაფე. კაფე პატარა და ფერადია. კაფეში მამა და შვილები არიან. ისინი საუბრობენ და ყავას სვამენ.

თემა 5

1. დაასახელეთ და გააფერადეთ:

ძ ც ღ წ ჭ ჯ ჰ

2. შემოხაზეთ ასოები სწორი მიმართულებით:









ძ ძ

ც ც

ჩ ჩ

3. დააკვირდით, წაიკითხეთ, დაიმახსოვრეთ:



ძაღლი



ცა



ცხვირი



ღამე



დღე



წიგნი



წყალი



მინერალური წყალი



ჭიქა



ჭურჭელი



ბიჭი



ჯიბე



ჯარიმა



ჯაგრისი



კბილის ჯაგრისი



ჯოხი



გამარჯობა



ჰამაკი



ჰამბურგერი



ჰაერი

4. ა) ჩაწერეთ გამოტოვებული ასოები:

.....აღლი	.....ა	.....ხვირი	.....ამე	..... იგნი
.....იქა	.....ურ.....ელი	ბი.....ი	.....ყალი	.....ყალი
.....აგრისი	.....ოხი	.....ამაკი	.....ამბურგერი	.....იბე
დ.....ე	.....არიმა	.....აერი	კბილის .....აგრისი	გამარ.....ობა

ბ) გაანაწილეთ სიტყვები ცხრილში:

ძ	ც	ღ	წ	ჭ	ჯ	ჰ
				ჭიქა		
	ცა		წყალი		ჯოხი	
						ჰაერი

5. ნახატებს მიუწერეთ სიტყვები:









....









....

6. ასოები დაალაგეთ სიტყვებად:

აძღილ	*ძაღლი*
აც	
გრიჯასი	
ბეჯი	
ხვცირი	
ქაჭი	
ლიწაყ	
რიჭექჭულ	
რიეჰა	
მაკიჰა	
მელა	
ნიგწი	
ღდე	

7. ა) დააკვირდით და გაიმახსოვრეთ: როგორი?



გრძელი ჯაგრისი



მოკლე ჯაგრისი



ცხელი ჩაი



ცივი ყავა



ძალიან ცხელი ჰაერი



ძალიან ცივი ჰაერი

ბ) წაიკითხეთ ფრაზები:



მოკლე ცხვირი



გრძელი ცხვირი



ცხელი ყავა



ძალიან ცხელი ჩაი



ცივი წყალი



ძალიან ცივი კოკა-კოლა

გ) როგორი?

ძალიან ცივი კოკა-კოლა; ..... ყავა; ..... ცხვირი;

..... ცხვირი; ..... ყავა; ..... წყალი;

..... ჩაი.

8. წაიკითხე წინადადებები:



- ეს არის ძაღლი.

- ეს არ არის ზებრა.



- ეს არის ცხელი წყალი.

- ეს არ არის ცივი წყალი.



- ეს არის ცხვირი.

- ეს არ არის პირი.



- ეს ცხელი წყალია?

- არა, ეს ძალიან ცივი წყალია.



- ეს ჭიქაა?

- არა, ეს ჭურჭელია.



- ეს ღამეა?

- არა, ეს დღეა.



- ეს ძალიან გრძელი ჯაგრისია?

- დიახ, ეს არის ძალიან გრძელი ჯაგრისი.



- ეს ძალიან მოკლე ჯაგრისია?

- დიახ, ეს არის ძალიან მოკლე ჯაგრისი.

9. ა) წაიკითხეთ წინადადებები და დააკვირდით ხაზგასმულ სიტყვებს:



მე **მყავს** ძაღლი.



მე **მყავს** მეგობარი.



მე **მაქვს** წყალი



მე **მაქვს** ჭიქა.

ბ) დაასახელეთ და ჩაწერეთ: - მყავს; - მაქვს:

















მე მყავს .....

მე მაქვს .....

გ) უპასუხეთ შეკითხვებს:

ნიმუში: - შენ გაქვს წიგნი? - დიახ, მე მაქვს წიგნი/არა, მე არ მაქვს წიგნი.

შენ გყავს ძაღლი? -დიახ, მე მყავს ძაღლი/არა, მე არ მყავს ძაღლი.

- შენ გაქვს კბილის ჯაგრისი? .....

- შენ გაქვს ჰამაკი? .....

- შენ გაქვს მინერალური წყალი? .....

- შენ გაქვს ჰამბურგერი? .....

- შენ გაქვს გრძელი ჯოხი? .....

- შენ გყავს მეგობარი ბიჭი? .....

- შენ გყავს დედა? .....

10. წაიკითხეთ ტექსტი:

ეს არის ბიჭი. ბიჭს ჰქვია ჯაბა. ჯაბას უყვარს მინერალური წყალი და ჰამბურგერი. ეს არის ჭიქა. ჭიქაში არის ჯაბას მინერალური წყალი. მინერალური წყალი არის ძალიან ცივი.

ჯაბა არის ჰამაკში. ჯაბას ჰყავს დიდი ძაღლი. ჯაბას ძაღლი არის შავი.

11. უპასუხეთ კითხვებს:

1. რა ჰქვია ბიჭს?
2. რა უყვარს ჯაბას?
3. სად არის მინერალური წყალი?
4. როგორია მინერალური წყალი?

5. სად არის ჯაბა?
6. რა ჰყავს ჯაბას?
7. როგორია ჯაბას ძაღლი?

12. ა) დააკვირდით სურათს და წაიკითხეთ დიალოგი:



- გამარჯობა.

- გაგიმარჯოს.

- მე მქვია გიორგი. შენ რა გქვია?

- მე მქვია ლია.

- ეს გოგო ვინ არის?

- ეს ჩემი მეგობარია. მას ჰქვია ანა.

- ლია, მე ვარ ბანკის მენეჯერი. შენ?

- მე ვარ ბანკის ოპერატორი.

13. ბ) ჩასვით გამოტოვებული სიტყვები: მე მქვია, გქვია, მას ჰქვია, გამარჯობა/გაგიმარჯოს, მე მქვია.

- გამარჯობა.

- ..... .

- ..... გიორგი. შენ რა ..... ?

- ..... ლია.

-ეს გოგო ვინ არის?

-ეს ჩემი მეგობარია. .... ანა.

- ლია, მე ვარ ბანკის მენეჯერი. შენ?

- მე ვარ ბანკის ოპერატორი.

თემა 6

წაიკითხეთ ტექსტები:

თონე. აი თონე. ეს არის თონე. ეს თონე ამირანისაა. ამირანი დაჩის მამაა. ამირანის თონე დიდია. ის თონე ნინოსია. ნინო თათიას დედაა. ნინოს თონე არ არის დიდი.

✿✿✿

- რა არის ეს?

- ეს საათია.

- ის რა არის?

- ის საათია.

- ორი საათია?

- ორი საათია, დიდი საათი ანასია, პატარა საათი ლეილასია.

- პატარა საათი ლამაზია.

✿✿✿

აი ია, აი თითი.

ეს არის მთა. ეს თასია.

ეს თაროა. ეს ჩანთაა.

ის სურათი ანასია.

✿✿✿

ეს ანას ჩანთაა.

ეს დაჩის დოლია.

ეს ჩემოდანი ნანასია.

ეს ჩანთა დიდია და ლამაზია.

წაიკითხეთ ტექსტი:

ეს არის მარიამი. მარიამი არის გოგო. ის არის ლამაზი გოგო. აი, მარიამის სახლი. მარიამი არის სახლში. მარიამის სახლი არის დიდი. ეს არის მარიამის ოთახი. მარიამის ოთახი არის ლამაზი. მარიამი ოთახშია.

აი, მარიამის ბებია და ბაბუა. ბებია და ბაბუა სახლში არიან. ბებიას და ბაბუას სახლი არის პატარა. ეს არის სახლის აივანი. სახლში არის ხუთი ოთახი. ეს ბებიას და ბაბუას ოთახია.

მარიამის სახლი ქალაქშია. ბებიას და ბაბუას სახლი არის სოფელში.

დაალაგეთ ტექსტი თანმიმდევრობით და წაიკითხეთ:

ა) აი, მარიამის ბებია და ბაბუა. ეს ბებიას და ბაბუას სახლია. ბებია და ბაბუა სახლში არიან. ბებიას და ბაბუას სახლი არის პატარა. ეს არის სახლის აივანი. სახლში არის ხუთი ოთახი. ეს ბებიას და ბაბუას ოთახია.

ბ) მარიამის სახლი ქალაქშია, ბებიას და ბაბუას სახლი სოფელშია.

გ) ეს არის მარიამი. მარიამი არის გოგო. ის არის ლამაზი გოგო. აი, მარიამის სახლი. მარიამი არის სახლში. მარიამის სახლი არის დიდი. ეს არის მარიამის

ოთახი. მარიამის ოთახი არის ლამაზი. მარიამი ოთახშია.

1.	2.	3.

დააკავშირეთ ილუსტრაციასთან:



აი, მარიამის ბებია და ბაბუა.



ეს არის მარიამი.



ბებია და ბაბუა სახლში არიან.



მარიამის სახლი არის დიდი.



ბებიას და ბაბუას სახლი არის პატარა.



მარიამის სახლი ქალაქშია.



ბებიას და ბაბუას სახლი სოფელშია.

უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ არის მარიამი?
2. სად არის მარიამის სახლი?
3. ვინ ჰყავს მარიამს?
4. ვისი ბებია და ბაბუა არიან სახლში?
5. სად არის მარიამის ბებიას და ბაბუას სახლი?
6. როგორი გოგოა მარიამი?

წაიკითხეთ დიალოგები და შეასრულეთ დავალებები:

- გამარჯობა, ელენე!
- გამარჯობა, ნინო!
- ეს რა არის?
- ეს არის შავი ჩანთა.
- ეს შავი ჩანთა ვისია?
- ეს შავი ჩანთა არის ჩემი.
- რა არის ჩანთაში?
- ჩანთაში არის წიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი.
- ეს სკოლის ჩანთაა?
- დიახ, ეს სკოლის ჩანთა არის.

✿✿✿

- გამარჯობა! ეს ჰამბურგერი ცხელია?
- გაგიმარჯოს! დიახ, ეს ჰამბურგერი ცხელია.
- მე მიყვარს ცხელი ჰამბურგერი, მე არ მიყვარს ცივი ჰამბურგერი.
- დიახ, ცხელი ჰამბურგერი გემრიელია.

- გამარჯობა! შენ რა გქვია?

- გაგიმარჯოს! მე მქვია ანა. შენ რა გქვია?

- მე მქვია დავითი.

- რამდენი წლის ხარ, ანა?

- მე ვარ 9 წლის. შენ რამდენი წლის ხარ, დავით?

- მე ვარ 10 წლის.

- ნახვამდის!

- ნახვამდის!

წაიკითხეთ ტექსტი:

ეს არის თბილისი. თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი. თბილისი დიდი და ძველი ქალაქია. აქ არის დიდი და პატარა სახლები, ძველი და ახალი ქუჩები, საინტერესო ადგილები, ბევრი კაფე და სუპერმარკეტი. მე მიყვარს თბილისი.

წაიკითხეთ დიალოგები:

ქუჩაში:

- ეს სკოლაა?

- არა, ეს სკოლა არ არის, ეს ბანკია. სკოლა არის იქ.

- აქ კაფე არის?

- არა, აქ კაფე არ არის. კაფე მეორე ქუჩაზეა.

- დიდი მადლობა.

- არაფრის!

კაფეში:

- ყავა გაქვთ?

- დიახ გვაქვს ყავა, ჩაი და წვენი.

- როგორი ყავა გაქვთ?

- შავი ყავა და რძიანი ყავა.

- ჩაი როგორი გაქვთ?

- მწვანე და ხილის.

- ნაყინი ან ტორტი გაქვთ?

- ნაყინი არ გვაქვს, ტორტი გვაქვს, გინდათ?.

- დიახ, მწვანე ჩაი და ხილის ტორტი მინდა.

ტყეში:

- მამა, ეს ტყე დიდია?

- კი, სოფო, ეს ტყე ძალიან დიდია.

- აქ ტბა არის?

- არა, ტყეში ტბა არ არის, ტყეში ხეები, ყვავილები და სოკოებია.

- მამა, ეს პეპელაა?

- არა, ეს პეპელა არ არის. ეს ფოთოლია.

- რა ლამაზია...

- კი, ძალიან ლამაზია.

წაიკითხეთ ტექსტები:

ჩემი ოთახი

მე კატო ვარ. ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი დიდია. ეს ჩემი ყვითელი ჩანთაა. ჩემი ჩანთა ახალია. ეს ჩემი ჟაკეტია. აქ დიდი მაგიდაა. ეს მაგიდა ძველია. მაგიდაზე ჟურნალი დევს. ეს ჩემი ფანქრებია. ოთახში არის პატარა ტელევიზორი. ოთახში არის ერთი ყვავილი. მე ძალიან მიყვარს ჩემი ოთახი.

სოფელი

მე და დედა სახლში ვართ. ქუჩაში ქარია. ოთახში თბილა. მამაჩემი ბანკშია. მამა ბანკში მუშაობს.

ბებია და ბაბუა სოფელში არიან. სოფელში დიდი ტყეა. ტყეში ბევრი ხილია. იქ, ტყეში, პატარა ტბაა. სოფელში არის დიდი მდინარე. ბებოს და პაპას სახლი ძველია. ბებოს ეზოში ბევრი ყვავილია. მე ძალიან მიყვარს ბებოს და პაპას სახლი. მე მიყვარს ბებოს პური და ყველი. მე ძალიან მიყვარს სოფელი.

ჩემი და

მე ლუკა ვარ. ეს ჩემი დაა - ტატა. ტატა პატარაა. მას ძალიან უყვარს ნაყინი. ტატას არ უყვარს რძე. მას ძალიან უყვარს ჩაი და ჟოლოს ტორტი. ეს თათას პატარა პალტოა. პალტოზე პეპლები და სოკოებია. ტატას ძალიან უყვარს ეს პალტო. მე ძალიან მიყვარს ჩემი და.

წაიკითხეთ დიალოგები:

- გამარჯობა, ჯაბა!

- გამარჯობა, ჯონი! როგორ ხარ?

- კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?

- მეც კარგად ვარ. სად მიდიხარ?

- სუპერმარკეტში მივდივარ.

- რა გინდა მარკეტში?

- ჯაგრისი, კბილის ჯაგრისი და კბილის პასტა მინდა.

- შენ სად მიდიხარ?

- მე ბაზარში მივდივარ. მინერალური წყალი, შარვალი და ჯოხი მინდა.

- ნახვამდის, ჯონი!

- ნახვამდის, ჯაბა!

✿✿✿

- გამარჯობა, ანა!

- გამარჯობა, თეა! როგორ ხარ?

- კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?

- მეც კარგად ვარ. დღეს ბორჯომში მივდივარ.

- რა არის იქ?

- იქ სუფთა ჰაერი და მინერალური წყლებია.

- რა კარგია! როგორ მიყვარს სუფთა ჰაერი, ჰამაკი და წიგნის კითხვა.

- შენც წამოდი. ერთ საათში მივდივარ.

- კარგი, მადლობა!

✿✿✿

- ნანა, ეს ბიჭი ვინ არის?

- ეს არის ჩემი მეგობარი.

- რა ჰქვია შენს მეგობარს?

- ჩემს მეგობარს ჰქვია ნოდარი.

- რა უყვარს ნოდარს?

- ნოდარს უყვარს ჰამბურგერი, ჯინსის შარვალი და ძაღლი.

- ჰყავს ნოდარს ძაღლი?

- კი, დიდი შავი ძაღლი ჰყავს. ძალიან ლამაზია.

წაიკითხეთ ტექსტები:

ეს არის ბიჭი. ბიჭს ჰქვია ჯაბა. ჯაბას ძალიან უყვარს წიგნი და ჯინსის შარვალი. ჯაბას ჯინსის შარვალი შავია. შარვალს აქვს დიდი ჯიბე. ჯაბას ჯიბეში აქვს საინტერესო წიგნი ძაღლებზე. წიგნში არის ჯაბას საყვარელი ძაღლი. ძაღლი დიდი და შავია. ჯაბას მოსწონს ეს ძაღლი.

✿✿✿

ეს არის სუპერმარკეტი. სუპერმარკეტი არის დიდი. სუპერმარკეტს აქვს ხუთი დიდი ფანჯარა. სუპერმარკეტში არის ჯაგრისი, კბილის ჯაგრისი, ჭურჭელი, ჯოხი, ჰამაკი, მანდარინი, ატამი, ყავა, ჩაი, კოკა-კოლა, ჰამბურგერი, წიგნი. სუპერმარკეტში დღეს ბევრი ადამიანია.

✿✿✿

ეს არის დავითი. დავითი არის მაღალი და გამხდარი ბიჭი. მას აქვს გრძელი ცხვირი, პატარა პირი და მოკლე თმა. დავითს მოსწონს შავი ჯინსის შარვალი. დავითს უყვარს ყავა და ჰამბურგერი. დავითს ჰყავს მეგობარი. მის მეგობარს ჰქვია გიორგი. გიორგი დაბალი და გამხდარი ბიჭია. გიორგის აქვს პატარა ცხვირი, პირი და გრძელი თმა. გიორგის მოსწონს თეთრი გრძელი პალტო. გიორგის უყვარს ტორტი და ნაყინი.